

შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია

რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/01 4 იანვარი 2011 წ.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის
დებულება

თბილისი
2011 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. შპს "გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის" საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ქვედანაყოფს.
- 1.2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით, წინამდებარე დებულებით და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა წესებით.
- 1.3. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ფინანსური დირექტორის წინაშე.

მუხლი 2. სამსახურებრივი ფუნქციები, ამოცანები და უფლება-მოვალეობანი.

- 1.1. სამსახურის ფუნქციები და ამოცანებია:
 - ა) უნივერსიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობების წარმართვა;
 - ბ) საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში სააღრიცხვო ინფორმაციის საფუძველზე რეზერვების გამოვლენა და მობილიზება;
 - გ) უფლებამოსილების ფარგლებში პროგრამების, სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობა, წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების თაობაზე დასკვნების მომზადება და წარდგენა;
 - დ) უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენაში ფინანსური დირექტორისათვის დახმარების აღმოჩენა;
 - ე) უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის შედგენაში მონაწილეობის მიღება;
 - ვ) უნივერსიტეტში სტუდენტური გრანტებით, სტუდენტთა თვიდდაფინანსებით და სხვა წყაროებით მიღებული თანხების მიზნობრივი ათვისების მდგომარეობის შესწავლა;
- 1.2. სამსახურის უფლება-მოვალეობანი:
 - ა) თავის კომპეტენციის ფარგლებში მოითხოვოს და მიიღოს შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისაგან, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელებისათვის ინფორმაციები და საჭირო მასალები;
 - ბ) ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად შეიმუშაოს უნივერსიტეტის საშტატო განრიგის პროექტი და წარუდგინოს იგი ფინანსურ დირექტორს და რექტორს შესათანხმებლად და დასამტკიცებლად;
 - გ) დადგენილ ვადებში და დამტკიცებული ფორმით მოითხოვოს აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილებისაგან მონაცემები, შეადგინოს უნივერსიტეტის წლიური ანგარიში და წარუდგინოს იგი ფინანსურ დირექტორს პარტნიორთა კრებაზე განსახილველად და დასამტკიცებლად;
 - დ) თავის კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშაოს და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას განსახილველად წარუდგინოს წინადადებები სხვადასხვა საკითხებზე;
 - ე) დროულად განიხილოს მოქალაქეთა განცხადებები და მოამზადოს შესაბამისი პასუხები;

- ვ) პერიოდულად მოახსენოს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას სამსახურისათვის მინიჭებული უფლებამოსილებათა და ვალდებულებათა განხორციელების შესახებ;
- ზ) უნივერსიტეტის საქმიანობიდან გამომდინარე მოახდინოს ცვლილებების შეტანა დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვაში;
- თ) შეასრულოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მინიჭებული სხვა უფლება-მოვალეობანი;

მუხლი 3. დასკვნითი დებულება

- 3.1. დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცება ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით.